

თავი 14 დავა წიგნების გამო

რაც უფრო უახლოვდებოდა ჯონათანი ქალაქის ცენტრს, მით უფრო მატულობდა ფუსფუსი ქუჩებში. მაისისი მას ოდნავ მოშორებით მიჰყვებოდა, ძალზე მიზანდასახული იყო – ცდილობდა, დაეჭირა ყველა ვირთხა ან ყველანაირი სახის საკვები ეშოვა. სამჯერ ჩამორჩა და დაეწია ჯონათანს – პატარა ქუჩებს, კონსერვის ყუთებსა და სარდაფებს გულდასმით ამოწმებდა. კატას ყვითელი ბეწვი გაუჭუჭყიანდა და გაემტვერა, თუმცა, წამდაუწუმ ცდილობდა გაწმენდას.

ტროტუარებზე კარგად ჩაცმული ადამიანები დაფიქრებული გამომეტყველებით დაიარებოდნენ – ზოგი ამაყად, ზოგიც ბარბაცით მიდიოდა. დიდი, გაშლილი მოედნის გადაკვეთისას ჯონათანი მოხუც კაცსა და ახალგაზრდა ქალს წააწყდა, რომლებიც ერთმანეთს ხმამაღლა უყვიროდნენ და ბილწი სიტყვებით ამკობდნენ. ისინი გაჰკიოდნენ და იგინებოდნენ, თან ხელებს გულიანად იქნევდნენ ჰაერში. წყვილის დავის მიზეზის გასაგებად ჯონათანი გამვლელთა პატარა ჯგუფს შეუერთდა.

პოლიცია რომ მოვიდა მათ დასაშოშმინებლად, ჯონათანმა ხელჯოხზე დაყრდნობილ მოხუც ქალს მხარზე ხელი მსუბუქად შეახო და ჰკითხა:

– რატომ არიან ასე გაბრაზებული ერთმანეთზე?

ქალს სახესა და ხელებზე ღრმა ნაოჭები გასჩენოდა. პასუხის გაცემამდე ჯონათანი კარგად შეათვალიერა და წვრილი, მთრთოლვარე ხმით უპასუხა:

– ისინი ერთმანეთს წლების განმავლობაში საბჭოს ბიბლიოთეკის წიგნების გამო ედავებიან. კაცი უკმაყოფილოა, რომ წიგნების დიდი ნაწილი სავსეა ბინძური სექსისა და ამორალური საკითხებით. ამიტომ უნდა, ეს წიგნები გამოიტანონ და დაწვან, ქალი კი ჩხუბით პასუხობს და მას „გაზულუქებულ პურიტანს“ უწოდებს.

– ქალს წიგნების წაკითხვა უნდა? – ისევ იკითხა ჯონათანმა.

– მთლად ასე არ არის, – წაილაპარაკა მალაღმა კაცმა, რომელიც იქვე

ჩამუხლულიყო, მის გვერდით კი პატარა გოგონა იდგა, – ის სხვა წიგნების გამოა უკმაყოფილო. ამბობს, რომ ბიბლიოთეკაში არსებული ბევრი წიგნი სექსისა და რასიზმის პროპაგანდით არის სავსე.

– მამიკო, მამიკო, პროპაგანდა რა არის? – ჰკითხა გოგონამ კაცს და ტანსაცმელი მოქაჩა.

– მოგვიანებით აგიხსნი, საყვარელო. ჰოდა იმას ვამბობდი, რომ, – განაგრძო მამაკაცმა, – ქალს სურს, ეს წიგნები გადაყარონ და, სანაცვლოდ, ბიბლიოთეკამ მის მიერ შედგენილი სიის მიხედვით იყიდოს ლიტერატურა.

ამ დროისთვის პოლიციამ უკვე ორივე მოკამათეს ხელბორკილი დაადო და ქუჩის ბოლოსკენ წაიყვანა. ჯონათანმა თავი გააქნია და ამოიოხრა:

– როგორც ვხედავ, პოლიციამ ისინი ამ კინკლაობისთვის დააკავა, ხომ?

– მარტო მაგისთვის არა, – გაეცინა მოხუც ქალს, – პოლიციამ ორივე

მათგანი ბიბლიოთეკის გადასახადის დაფარვაზე უარის თქმის გამო დააკავა. კანონის თანახმად, ყველამ უნდა გადაიხადოს წიგნების ბიბლიოთეკაში შენახვის საფასური, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა ისინი.

– მართლა? – თქვა ჯონათანმა, – და პოლიცია რატომ არ ახდევინებს მხოლოდ იმ წიგნებისთვის, რომლებიც მათ მოსწონთ?

– მაშინ ჩემი გოგონა ვეღარ ივლის ბიბლიოთეკაში, – თქვა ჩამუხლულმა მამაკაცმა. მერე დიდ თეთრ და წითელ სპირალისებური ფორმის კანფეტს ქაღალდი შემოაცალა და შვილს მიაწოდა.

– მოითმინეთ, ბატონო, – თქვა მოხუცმა ქალმა და კანფეტს უკმაყოფილოდ შეხედა. – საკვები თქვენი ქალიშვილის გონებისთვის განა ისეთივე მნიშვნელოვანი არ არის, როგორც მისი კუჭისთვის?

– ეს რა შუაშია? – უპასუხა მამაკაცმა თავდაცვითი ტონით. გოგონას უკვე მოესწრო ტკბილეულით კაბის დასვრა.

ქალმა მკაცრად უპასუხა:

– დიდი ხნის წინ ბიბლიოთეკაში ლიტერატურის გამოწერის საკმაოდ ფართო არჩევანი გვქონდა და მათ „გამოწერილ წიგნებს“ ვუწოდებდით. ყოველ წელს ძალზე მცირე საწევრო გადასახადი იყო, უკმაყოფილებას არავინ გამოთქვამდა, რადგან ყველა იმ წიგნისთვის იხდიდა, რომელიც მოსწონდა. გამოწერილი ლიტერატურა, ერთგვარად, კონკურენციასაც უწყობდა ხელს, რადგან წევრები ცდილობდნენ საუკეთესო არჩევანი ჰქონოდათ და საუკეთესო პერსონალი მომსახურებოდა მათ, მისულიყვნენ ყველაზე ოპტიმალურ საათებში და დაეკავებინათ მოსახერხებელი ადგილები. ზოგი კარდაკარაც კი დადიოდა, რომ წიგნი წამოეღო ან მიეტანა. ხალხი იხდიდა თავისი არჩევანის საფასურს, ამიტომაც საწევრო მათთვის მნიშვნელოვანი იყო, სხვათა შორის უფრო პრიორიტეტული, ვიდრე კანფეტი.

ქალი ჯონათანს მიუბრუნდა და აუხსნა:

– მერე ლორდთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ბიბლიოთეკა ძალზე მნიშვნელოვანი იყო და მის ბედს ცალკეულ ადამიანთა კაპრიზებს ვერ მიანდობდნენ. გადამხდელთა ხარჯზე საბჭომ დიდი სახელმწიფო ბიბლიოთეკა შექმნა, რომელიც ძალზე პროფესიული გახდა, რადგან იგი უფასო იყო. წიგნების გამოწერის განყოფილებაში მომსახურე პერსონალის სამუშაოს შესასრულებლად საბჭომ დაიქირავა სამი სახელმწიფო ბიბლიოთეკარი, რომლებსაც ძალიან მაღალი ხელფასები ეძლეოდათ. მოკლედ რომ ვთქვათ, გამოწერის სისტემა გაუქმდა.

– ლორდებმა უფასო ბიბლიოთეკა შექმნეს? – გაიმეორა ჯონათანმა, – წელან არ თქვით, ყველა იხდის გადასახადსო?!

– მართალია, მაგრამ ისიც ჩვეულებრივი საკითხია, რომ საბჭოს მომსახურების საშუალებებს მაინც „უფასო“ ჰქვია, მაშინაც კი, როცა ხალხს გადახდას აიძულებენ. ეს უფრო ცივილურია, – თქვა ქალმა და მის ხმაში ირონიამ გაიჟღერა.

მაღალი კაცი აქტიურად შეეწინააღმდეგა:

– გამოწერითი ბიბლიოთეკები? მსგავსი არაფერი მსმენია!

– რა თქმა უნდა, არ გსმენიათ – გამოაჯავრა ქალმა, – სახელმწიფო ბიბლიოთეკა იმდენი ხანია არსებობს, რომ სხვა რამ ძნელი წარმოსადგენია.

– მოიცათ, მოიცათ! – წამოიყვირა კაცმა და წაბორძიკდა, – თქვენ რა, ბიბლიოთეკის გადასახადს აკრიტიკებთ? თუ ლორდები მაღალი დონის მომსახურებას უზრუნველყოფენ, ყველამ კეთილი ინებოს და გადაიხადოს.

– რა მაღალი დონის მომსახურებაზეა საუბარი, როდესაც ლორდებს ძალის გამოყენება უწევთ? – იკითხა მოხუცმა ქალმა და მამაკაცს თვალი გაუსწორა.

– ყველამ არ იცის, მისთვის რა არის კარგი, ზოგს კი მიზნის მისაღწევად საშუალება არ აქვს, – განაცხადა კაცმა. – გონიერმა ხალხმა იცის, რომ უფასო წიგნები თავისუფალ საზოგადოებას წარმოქმნის. გადასახადებიც ისეა გადანაწილებული, რომ ყველამ გადაიხადოს ის წილი, რაც მას სამართლიანად ეკუთვნის. სხვა შემთხვევაში, მუქთახორებმა შეიძლება სხვის კისერზე იცხოვრონ!

– დღეს ყველაზე მეტი მუქთახორაა, ვიდრე ოდესმე, – უპასუხა ქალმა, –

სწორედაც ხშირი მომხმარებლები და გადასახადებისგან გათავისუფლებული ადამიანები სხედან სხვის კისერზე. ეს რამდენად სამართლიანია? როგორ გგონიათ, ვის უფრო მეტი გაგლენა აქვს ლორდთა საბჭოზე? კარგი კავშირების მქონე პირს, თუ ვიღაც საწყალ ადამიანს, სახელმწიფო ბიბლიოთეკის სამუშაო საათების დასრულების შემდეგ რომ ამთავრებს მუშაობას?

კაცმა მის უკან მდგარ გოგონას ოდნავ ჰკრა ხელი, წინ წამოიწია და ქალს ცხარე კამათი დაუწყო:

– კი მაგრამ, რა არჩევანი გინდათ რომ გქონდეთ ბიბლიოთეკაში? თქვენ

გამოსაწერი ბიბლიოთეკა გირჩევენიათ, რომელიც შეიძლება მიკერძოებული იყოს?

– მიკერძოებას ვერ გაექცევი! – უპასუხა ქალმა და მისკენ დაიხარა, – აბა ის ოინბაზები გირჩევენიათ საბჭოში, თქვენსავე წინააღმდეგ რომ გამოიყენებენ ამ მიკერძოებას?

– ვინ არის ოინბაზი? – შეეკამათა კაცი, მოხუცი ქალი თანდათან მოთმინებას კარგავდა. – თუ არ მოგწონთ, მაშინ რატომ არ მიდიხართ კორუმპოდან?

– შე, თავხედო არამზადავ! – შეჰყვირა ქალმა და თავში ხელჯოხი ჩასცხო, – სახელმწიფო ბიბლიოთეკას, მგონი, მას შემდეგ ვუხდი გადასახადს, რაც შენ დაიბადე!

ახლა უკვე კიდევ ორი ადამიანი უყვიროდა ერთმანეთს, პატარა გოგონა ტიროდა და ვიღაცა პოლიციის გამოსაძახებლად გაიქცა – ისევ პოლიცია! ჯონათანი სწრაფად გასცილდა წყვილს და დასამშვიდებლად სახელმწიფო ბიბლიოთეკის მიმდებარე სკვერში შევიდა.